

სს ინდუსტრია 21

საიდენტიფიკაციო კოდი: 208140224

ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

მმართველობითი ანგარიში	3
ფინანსური ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები	7
3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8
3.3. გადახდილი ავანსები	8
3.4. მზა პროდუქცია	8
3.5. სხვა მარაგები	8
3.6. ძირითადი საშუალებები	9
3.7. სავაჭრო ვალდებულებები	10
3.8. საგადასახადო ვალდებულებები	10
3.9. მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	10
3.10. გამოუმუშავებელი შემოსავალი	10
3.11. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	10
3.12. სულ მოკლევადიანი აქტივები	10
3.13. შემოსავლის აღიარება	11
3.14. ხარჯების აღიარება	11
3.15. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	11
3.16. მოგების გადასახადი	12
4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	12

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კომპანიის დასახელება: სს ინდუსტრია 21

(ს/ნ : 208140224)

ფინანსური მდგომარეობა:

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	3.1	1,348	37,708
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3.2	3,891,634	2,839,628
გადახდილი ავანსები	3.3	520,377	718,693
მზა პროდუქცია	3.4	271,808	661,074
სხვა(მარაგები)	3.5	12,554	85,475
ძირითადი საშუალება	3.6	1,845,927	2,045,075
სულ აქტივები		6,543,648	6,387,653
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3.7	42,638	74,524
საგადასახადო ვალდებულებები	3.8	148,237	0,00
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		0,00	178,458
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	3.9	139,496	49,020
გამოუმუშავებელი შემოსავალი	3.10	9,279	0,00
სულ ვალდებულებები			302,002
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		192,211	192,211
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	3.11	6,011,787	5,893,440
სულ საკუთარი კაპიტალი		6,203,998	6,085,651
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6,543,648	6,387,653
სულ მოკლევადიანი აქტივები	3.12	4,177,344	3,714,121

დირექტორი:

/ ვახტანგ ოსიტაშვილი/

მთ. ბუღალტერი:

/გიული გათენაძე/

6-12 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	01.01.2022 31.12.2022	01.01.2021 31.12.2021
ამონაგები			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	3.13	4,889,100	5,107,978
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	3.14	-3,338,959	-2,015,777
საერთო მოგება			3,092,201
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0,00	75,371
დასაქმებულთა ანაზღაურება	3.14	-185,084	-395,628
ცვეთა და ამორტიზაცია	3.14	-8,479	-8,027
საპროცენტო ხარჯი	3.14	-26,602	-216,120
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	3.14	-144,722	-78,856
სულ საოპერაციო ხარჯები		-364,887	-623,260
საოპერაციო მოგება		1,185,254	2,468,941
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო		0,00	-99,035
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3.15	46,054	0,00
მოგების გადასახადი	3.16	-162,992	-146,485
მოგება / (ზარალი)		1,068,316	2,223,421

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



/ ვახტანგ ოსიტაშვილი /

/ გიული გათენაძე /

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
საკუთარი კაპიტალი			
შპს -ს კაპიტალი		6,085,651	4,692,014
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-949,969	-829,784
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს		6,203,998	6,085,651

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	01.01.2022 31.12.2022	01.01.2021- 31.12.2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	562,040	982,375
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0,00	-4,106
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-595,980	-1,045,904
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	37,708	105,343
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	1,348	37,708

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



/ ვახტანგ ოსიტაშვილი /

/ გიული გათენაძე /

6-12 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

სს “ინდუსტრია 21” დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 21/12/1995 წ. რეგისტრაციის # 7 ა/5-21. რეგისტრაციაში გატარებულია სამგორის რაიონის სასამართლოს მიერ. დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 23.07.2004წ-დან.

საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 79 ნაწილის თანახმად სს “ მრავალბინიანი პროექტი, რომელიც განთავსებულია საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ქინძმარაულის ქ., #15 მისამართზე, განთავსდეს უფლებულია დღგ-სგან ჩათვლის უფლებით.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ქინძმარაულის ქ., #15

ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ქინძმარაულის ქ., #15
საიდენტიფიკაციო ნომერი: 208140224

აქციონერები:

1. გვენეტაძე იამზე (თანამესაკუთრე ნანა ჯაფარიძე) (პ/ნ 01026009452), - 39,10026 % წილის მფლობელი.

2. ებრალიძე თამაზ (პ/ნ 01010004833), - 13,00654 % წილის მფლობელი.

3. კობიაშვილი ლუდმილა (პ/ნ 01011038834), - 10,40523% წილის მფლობელი.

4. ქოჩორაშვილი ციალა (პ/ნ 522001010125), - 18,20916% წილის მფლობელი.

5. ჯაფარიძე რევაზ (პ/ნ 501014005437), - 10,40523% წილის მფლობელი.

6. ოსიტაშვილი ვახტანგ (პ/ნ 501008039077), - 2,63148% წილის მფლობელი.

7. სს საინვესტიციო კომპანია ვანო და კომპანია (ს/კ 203860474) - 1,9% წილის მფლობელი.

8. დანარჩენი - 4,3421% წილის მფლობელია 162 ფიზიკური პირი.

დირექტორი:

ოსიტაშვილი ვახტანგ.

საქმიანობის სახე: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა

ეკონომიკური საქმიანობის კოდი : 41200

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს სს “ინდუსტრია 21”-ის მეორე წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს „მსს ფასს“-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების / ფულადი აქტივების / ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული ეროვნული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით.

ვალუტა	სავალუტო გაცვლითი კურსები პერიოდის ბოლოს	
	31.12.2022	31.12.2021
აშშ დოლარი	2.7020	3.0976

კომპანიის ფულადი სახსრები სალაროში და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს:

	ანგარიში	31.12.2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1110	1
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	1210	1347
სულ ფულადი სახსრები:		1,348

3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის მომსახურების რეალიზაციის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. აღიარდება საქონლის/მომსახურების გასაყიდი ფასის ოდენობით.

3.3 გადახდილი ავანსები

კომპანიის ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის/მომსახურების შესყიდვის მიზნით და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს.

3.4 მზა პროდუქცია

მზა პროდუქცია მოიცავს ყველა დანახარჯს რის შედეგადაც პროდუქცია მზადაა გასაყიდად.

3.5. სხვა (მარაგები)

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).

3.6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმები ბასს 16 - და მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს.

ერთჯერადი გამოყენების ან/და სხვა საგნები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება გამიჯნულად სხვა მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.

ჯგუფის სასარგებლო მომსახურების ვადები და ღირებულება პერიოდის ბოლოსთვის:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)	ღირებულება	აკუმულირებული ცვეთა	ნარჩენი ღირებულება
მანქანა დანადგარები	5-15	13,155	8639	4516
კავშირგაბმულობის საშუალებები	3-10	1938	848	1090
სამშენებლო მოწყობილობები	3-5	26,695	17,947	8,748
სხვა ძირითადი საშუალება		36,132	17,313	18,819

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

მცირეფასიანი ინვენტარი და ნივთები გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს.

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთები და მასალები შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.

3.7. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება საქონლის მოწოდებასთან ან/და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

3.8. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიას გააჩნია საგადასახადო ვალდებულება, რაც ასახულია ანგარიშგებაში.

3.9. მოკლევადიანი ნასესხები სახსრები.

სესხი აღირიცხება საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

3.10. გამოუმუშავებელი შემოსავალი

კომპანიის საქმიანობის შედეგად პერიოდის განმავლობაში აქვს მიღებული ავანსები, რომლებიც ნაღიარები აქვს მიმდინარე პერიოდის ვალდებულებებთან, შესაბამისად ასახულია ვალდებულებებში კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშში.

3.11. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი

კომპანიას კაპიტალში აქვს საქმიანობის შედეგად მიღებული გაუნაწილებელი მოგება, რომელიც ასახულია მის ბალანსში. კომპანიას აქვს გაცემული დივიდენდები.

3.12. სულ მოკლევადიანი აქტივები აღიარდება აქტივებში

3.13. შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც:

- კომპანია მყიდველს (უწევს) გადასცემს მომსახურებას, საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა;

შემოსავლების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

3.14 ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკურ სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

3.15 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

კომპანიას წარმოეშვა არასაოპერაციო შემოსავალი, რომელიც აღიარდება შემოსავლებში.

3.16 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის წარმოშობა განპირობებულია კომპანიიდან დივიდენდის გატანის ოპერაციის ნაწილში, რა დროსაც ბიუჯეტთან მოხდა ანგარიშსწორება, შესაბამისად მოხდა კომპანიის ფულადი სახსრების შემცირება, ამავდროულად მოხდა გაუნაწილებელი მოგების შემცირება რაც ასახულია ანგარიშგებაში.

4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშის განმარტებით შენიშვნებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2022 წლის საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიაში არ ჰქონია ადგილი ისეთ მოვლენებს, რაც საჭიროებს ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას ან შენიშვნებში მათ ასახვას.

„მსს ფასს“ სტანდარტზე კომპანიის გადასვლის თარიღია 2018 წელი

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



/ ვახტანგ ოსიტაშვილი /

/ გიული გათენაძე /